



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N5**

ქ. ლანჩხუთი

23. 02. 2018 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ზუგუნიანი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მათა კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ელიკო იმნაძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მამუკა ვადაჭკორია, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის

უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამოდენიმე საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

2. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18

იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ე. იმნაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

10 . „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

/მომხსენებელი ვ. კვიციანი/

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. მახათაძე/

16. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282)) გასხვისებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

17. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

18. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

19. სხვადასხვა

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს:

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე-გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

ამასთან, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ს

აკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N6 დადგენილება.

მუხლი 1.

სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN = IMGX ITL \times CX \times K$, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2.

პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN=0,38 \times 1 \times 0,24 \times 100=9,12$.

მუხლი 3.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5.

სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N8 (23.02.2018)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი.

ამასთანავე, ამავე დადგენილებით ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემოღებულ უნდა იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთი განისაზღვროს შემდეგნაირად:

მუხლი 1

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3-ჯერ;
- ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ;
- გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1,5 - ჯერ;
- დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს - 3 -ჯერ.

მუხლი 2

საწარმოსთვის/ორგანიზაციისათვის, გარდა საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის 3¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური

განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება

კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) 1

პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველ მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექმნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში.

მუხლი 3.

ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

- ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი.

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 1.0 პროცენტი.

მუხლი 4.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწაზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

1. სათიბი (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 20.00 ლარი;
2. სამოვარი (ბუნებრივი და გაკულტურებული) - 16.00 ლარი;
- 3.სახნავი (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე,) - 73.00 ლარი;
- 4 საკარმიდამო - 73.00 ლარი;
- 5.სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწებისათვის:
 - ა) სათიბი - 20.00 ლარი;
 - ბ) სამოვარი - 16.00 ლარი;
 - გ) სახნავი - 73.00 ლარი;

მუხლი 5.

განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე

პირისათვის (შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე) გამოყოფილ მიწებზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი ერთ ჰექტარზე 3 ლარით.

მუხლი 6

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე გადასახადის წლიური განაკვეთები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით ლარებში:

- ქ. ლანჩხუთი - ტერიტორიული კოეფიციენტი-1,0; საბაზისო განაკვეთი 1 კვ. მ-ზე (ლარებში)-0,24; წლიური გადასახადის განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (3x4) -0,24;
- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებში-ტერიტორიული კოეფიციენტი-0,9; საბაზისო განაკვეთი 1 კვ. მ-ზე (ლარებში)-0,24; წლიური გადასახადის განაკვეთი 1 კვ.მ-ზე (3x4) - 0,216;

მუხლი 7

1. ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

- ა) საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 600 კვ.მ-ს.
- ბ) ავტოფარეხზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები, რომლის ფართობი არ აღემატება 24 კვ.მ-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ქონების გარდა, ქონების გადასახადისგან გათავისუფლებისას გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლი.

3. ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N9 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა რედაქციული სახის შენიშვნები, რომელთა გათვალისწინება არსებითად არ ცვლის მიღებული ნორმატიული აქტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ აღნიშნული ცვლილებები ასახულ იქნას მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N10 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო სულ 1264761 ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ფონდი შეადგენს 1 201522 ლარს, თანადაფინანსება 63239 ლარს. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N 1389 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს საგზაო

უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტის „უსაფრთხო ქალაქი, უსაფრთხო რეგიონი, უსაფრთხო ქვეყნის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ზოგადი ხედვის კამერების და კვების ბლოკების (შესაბამისი აღჭურვილობით და თანმდევი მომსახურებით) სახელმწიფო შესყიდვების ერთობლივად ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საშუალებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განსაზღვრულია 10 ერთეული ზოგადი ხედვის კამერის და კვების ბლოკების შესაბამის აღჭურვილობით და თანმდევი მომსახურებით სახელმწიფო შესყიდვა. თანხით, 11530 ლარი დაფინანსება უზრუნველყოფილი უნდა იქნას ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ზრდით. ამასთან, თანადაფინანსება ურუნველყოფილი იქნეს არაფინანსური აქტივების 63239 ლარით კლების ხარჯზე.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ გარე კამერების დაყენებისთვის ხარჯის გაღებით მთავრობა მუნიციპალიტეტებს ოფიციალურად ართმევს ბიუჯეტიდან 11 000 ლარს, რომელიც სხვა სასიკეთო საქმისთვის შეიძლება გადაიხარჯოს. უფრო მეტიც, ხელისუფლება ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს გააკეთონ ის, რაც არის მათი ვალდებულება. ეს გახლავთ შინაგან საქმეთა სამინისტროს უშუალო ფუნქცია.

საკრებულოს წევრმა **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე მან დასვა საკითხი საკრებულოს სხდომისთვის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სამსახურს წარმოედგინა ნუსხა, თუ გამოყოფილი 1 200000 ლარი კონკრეტულად რომელი პროექტების განხორციელებას მოხმარდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ შეთანხმება არ შესრულდა, რაც ყოველად მიუღებელია.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის შემდგომ გავიდა მხოლოდ ერთი დღე და განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხის მოწოდება ვერ მოახერხა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ სხვა შემთხვევაში საკრებულოსთვის მსგავსი ინფრომაციის მიწოდება უნდა მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად და მყისიერად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 დეპუტატი(ამირან გიგინეიშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, იოსებ ჩხაიძე);

მიღებულ იქნა დადგენილება N11 (23.02.2018)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 125 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად განხორციელდა საჯარო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილება, აგრეთვე საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეებად გარდაქმნა, შესაბამისი ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების მქონე პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადება. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1261 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, 2018 წლის 1 აპრილამდე საჯარო დაწესებულებას აქვს შედეგების კორექტირების უფლება. ნათლად შეიმჩნევა, რომ მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების უფლება-მოვალეობები საკმაოდ მაღალია და უთანაბრდება მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ფუნქციურ და სამუშაო დატვირთვას. მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტების უფლება-მოვალეობების გარდა, გათვალისწინებულია მათი ფუნქციების შესაბამისი ფაქტორები, როგორცაა პასუხისმგებლობა, მოვალეობათა შესრულების სირთულე, კომპეტენციები, აუცილებელი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია განხორციელდეს დღეს არსებული მეოთხე რანგის კორექტირება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1261 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე. კერძოდ, მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტები განაწილდნენ პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის რანგში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N22 (23.02.2018)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი**.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად“ საკრებულოს წევრს აქვს უფლება მოახდინოს საკრებულოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების ინიცირება. მან ბევრი იშრომა და შეადგინა საკრებულოს რეგლამენტის პროექტი, რომელიც მიაწოდა შესაბამის კომისიას, რომელმაც დაბლოკა და არ გაითვალისწინა რეგლამენტში მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი** განმარტა, რომ მისი ინიციატივა არავის დაუბლოკია, საკრებულოს წევრის ინიციატივას აქვს რეგლამენტში შესაბამისი პროცედურები, რომელზეც ვრცლად იყო საუბარი საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 23 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, **ელიკო იმნაძემ**. მან აღნიშნა, რომ ეს ცვლილება გამოიწვია ფინანსთა სამინისტროს რეკომენდაციამ, რომლის საფუძველზე სარგო არ უნდა აღემატებოდეს გასული წლის ფაქტობრივი მონაცემის საშუალო მაჩვენებლის დონეს. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25

დეკემბრის N38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2017 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.112.016320) შევიდა ცვლილება. კერძოდ, მერის პირველი მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 1900 ლარის ოდენობით, ხოლო მერის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა თვეში 1700 ლარის ოდენობით. ამასთან, უახლოეს მომავალში იგეგმება პოლიტიკური თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურების შესახებ კანონის მიღება, რომელიც უფრო დახვეწს და დაარეგულირებს აღნიშნულ საკითხს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა დადგენილება N12 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მერვე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N99 განკარგულებაში შესატან ცვლილებას. კერძოდ, საკრებულოს წევრმა, ციციანო ჩხაიძემ საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვით ითხოვს ნებართვას საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დატოვებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N24 (23.02.2018)

დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ საკითხი შეეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში შესატან ცვლილებას. კერძოდ, საკრებულოს წევრმა, ემზარ თევდორაძემ საკრებულოს მომართა განცხადებით, რომლის მიხედვით ითხოვს ნებართვას საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დატოვებასთან დაკავშირებით, ვინაიდან საკრებულოს წევრს კანონით ეკრძალება იყოს რამდენიმე კომისიის წევრი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N25 (23.02.2018)

დღის წესრიგის მეათე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შემდეგ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ იქნა რედაქციული სახის შენიშვნები, კერძოდ(სიტყვა გამგებელი უნდა შესწორდეს სიტყვა მერით, რომელიც ეხება ხუთივე კომისიის დებულებას) რომელთა გათვალისწინება არსებითად არ ცვლის მიღებული ნორმატიული აქტის შინაარსს. აქედან გამომდინარე, მართებულია, რომ ეს ცვლილებები

ასახულ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულებაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N26 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 27 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ვერიკო კვიციანიამ.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N28 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N29 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 30 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, არაუმეტეს წელიწადში ერთხელ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოწვეულმა აუდიტორმა შეიძლება ჩატაროს მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტი. საქართველოს ორგანული კანონის“ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ დამოუკიდებელი აუდიტის ჩაბარების შესახებ მოთხოვნას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 31 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 2792.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 471,10 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.09.50.282)) გასხვისებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი)ქონების სახით, გააჩნია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში

N27.09.50.282 კოდზე არსებული ყოფილი გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, რომელმაც ხანძრის შედეგად დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება, რასაც ადასტურებს მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ, შედგენილი უძრავი ქონების ადგილზე დათვალიერების აქტი. (წარმოდგენილია დანართის სახით). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვა-გასხვისება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის 121-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია განიხილოს წარმოდგენილი პროექტი და ძირითადი ქონების განკარგვაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ და მიიღოს განკარგულება. მიგვაჩნია რომ, ზემოაღნიშნული ქონების განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ის გაზრდის მუნიციპალიტეტის შემოსავლებს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N32 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „საჯარო ბიბლიოთეკები ადგილობრივი განვითარებისათვის - ფაზა II“-ის ფარგლებში, სააგენტოს თავმჯდომარის მ/შემსრულებლის სოსო გიორგაძის 2017 წლის 2 თებერვლის N88/ს ბრძანების საფუძველზე, გადმოეცა კომპიუტერების კომპლექტები. (ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 8245,98 ლარი) ზემოაღნიშნული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპ-ის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მის დაქვემდებარებაში არსებული ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის - პროექტი ინტერნეტი და კომპიუტერი ყველა სოფელს, ბიბლიოთეკების

განვითარების მიზნით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე, უსასყიდლო თხოვების ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო(არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N33 (23.02.2018)**

დღის წესრიგის მეთვრამეტე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განაპირობა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 იანვრის N1 დადგენილების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად მომზადებულმა სამართლებრივმა დასკვნამ. სამართლებრივი დასკვნის მოთხოვნით ზემოაღნიშნულ დადგენილების ტექსტში მოხსენიებული სოციალური დახმარების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილი უწყება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, უნდა გაიწეროს სწორი ფორმულირებით, როგორც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი და დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 28 დეპუტატი.

**მომხრე 28 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N 34 (23.02.2018)**

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრმა, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ რევანო სულაბერიძის ოჯახში დიასახლისს აქვს მძიმე სენი, რომელიც მოთავსებულია ქუთაისის სავაადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში. ოჯახს მკურნალობის არანაირი სახსრები არ გააჩნია. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, ვიდრე გაიმართება შესაბამისი კომისიის სხდომა, ოჯახზე მოხდეს ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ერთი წლის ბავშვს, ქრისტინე მოისწრაფიშვილს აქვს მძიმე ონკოლოგიური დაავადება, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაციის გაკეთება. მუნიციპალიტეტის მერთან გაიარა კონსულტაცია და მიიღო დაპირება, რომ მუნიციპალიტეტი დახმარებას აღმოუჩენს პატარა ქრისტინეს. მან თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარონ ბავშვს.

საკრებულოს წევრმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ კლინიკა „მედალფას“ რეანიმაციულ განყოფილებაში მოთავსებულია ვალერიან სვანიძე. მისი თქმით, ვიდრე კომისია შედგება, იქნებ მასზე მოხდეს ერთჯერადი დახმარების გაწევა.

საკრებულოს წევრის, **ლელა ჩახვამის** აზრით, კარგი იქნება თუ საკრებულოს წევრები ხელფასიდან სიმბოლურ თანხას გადარიცხავენ „სოლიდარობის ფონდში“, რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. მას განუმარტეს, რომ მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო უკვე ჩართულია ამ პროცესში. დეპუტატის თქმით, გაეცნო მუნიციპალიტეტში ჩატარებული სახელწიფო აუდიტორული შემოწმების დასკვნებს, რომელშიც უამრავ ძალიან მძიმე კანონდარღვევებზეა საუბარი. იგი დაინტერესდა, აგო თუ არა ვინმემ პასუხი ამ სერიოზულ მართლსაწინააღმდეგო დარღვევებზე და თუ არა, ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ყოველივე ამაზე.

საკრებულოს წევრმა, **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაშისდელეს სასაფლაოსთან მისასვლელი გზა არის სასწრაფოდ მოსაწესრიგებელი.

საკრებულოს წევრის, **ირაკლი მარშანიშვილის** აზრით, მუნიციპალიტეტმა უნდა მიმართოს მთავრობას, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ტერიტორიების შეწამლვა უნდა მოხდეს ავიაციის საშუალებით, სხვა შემთხვევაში ყველა მცდელობა უშედეგო იქნება. მისი თქმით, ხელთ აქვს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტი, რომ ლესა-ოზურგეთის გზაზე მაღალი გამავლობის ავტომობილისათვის ოფიციალური დატვირთული მასა შეადგენს 26 ტონას. იგი დაინტერესდა, თუ ვინ გააკონტროლებს ავტომობილების წონას, რათა არ მოხდეს გზის საფარის დაზიანება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული გზის მონაკვეთზე დაიდგმება სასწორი, რომლის მეშვეობითაც საპატრულო პოლიცია გააკონტროლებს ავტომობილების მასას. წონის გადაჭარბების შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდება სოლიდური თანხით.

საკრებულოს წევრმა, **გიორგი ჩახვადემ** აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ვერა და ვერ გადაიჭრა წყლის პრობლემა, სათავე ნაგებობას ხშირად ესაჭიროება რემონტი. აქედან გამომდინარე, მოსახლეობა ფაქტობრივად წყლის გარეშეა დარჩენილი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილ იქნას აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ კუნჭულიების უბანში 2013 წელს გამოიცვალა წყლის მილები, რომლის შემდგომაც უარესი ვითარება შეიქმნა და წყლის მიწოდება ხარვეზებით ხდება.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აუცილებლად შეისწავლის შესაბამისი სამსახური აღნიშნულ საკითხს და შესაძლებლობიდან გამომდინარე, დადებითად მოგვარდება ეს პრობლემა.

საკრებულოს წევრი, **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, თუ როდის დაიწყება ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვება ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ კარიერზე, რომელიც სოფლისათვის და მთლიანად მუნიციპალიტეტისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მიმდინარეობს კერძო კომპანიასთან მოლაპარაკებები, თუ როდის დაიწყება კარიერის ამოქმედება, რაც დამატებითი შემოსავლის წყარო გახდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სოფლები ჭინათი და ჭალა გამორჩენილია გაზიფიცირების დაპროექტების ნუსხაში, რაც სასწრაფოდ გასასწორებელია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტიდან შესაბამის სამსახურში გაიგზავნა წერილი აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის ჩაბარების დროს შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან ერთად აუცილებლად უნდა შემოწმდეს ხარისხი.

მუნიციპალიტეტის მერი, **ალექსანდრე სარიშვილი** დაეთანხმა დეპუტატს და იქვე აღნიშნა, რომ შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოს მოცულობასთან ერთად უნდა განხორციელდეს ხარისხის ექსპერტიზაც.

საკრებულოს წევრმა, **კარლო კვიციანიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, აგარაკის და ლაშისღელის უბნებში არის ბევრი ქუჩა, რომლებსაც არ მიეწოდება სასმელი წყალი.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების სამსახურის სპეციალისტებთან ერთად რამდენჯერმე იყო უშუალოდ ადგილზე მისული. მიმდინარე ან მომავალ წელს უნდა მოხდეს მთლიანად ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის არა მარტო წყლით, არამედ საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფა.

საკრებულოს წევრმა, **გიორგი მორჩილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საბავშვო ბაღში დღემდე გადაუჭრელ საკითხად რჩება წყალმომარაგების პრობლემა. ასევე, შიდა გზები არის კატასტროფულ მდგომარეობაში და გადაადგილება ფაქტობრივად შეუძლებელია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ აკეთის ბაღში წყალმომარაგების პრობლემა უკვე დიდი ხანია არსებობს. მისი თქმით, მარტის დასაწყისამდე დაინიშნება შესაბამისი ა(ა)იპ -ის უფროსი, რომელსაც დაევალება აღნიშნული საკითხის მოგვარება.


საკრებულოს წევრმა, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჭყონაგორაში 2016 წელს გამოიცვალა წყლის მილები, ორი თვის თავზე კი სოფელს წყალმომარაგება შეუწყდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს შედეგად. პროექტის ღირებულება იყო 132 000 ლარი, პარადოქსია, მაგრამ მისი ღირებულება ტენდერში გამარჯვებულმა მეწარმემ დაიყვანა 85 000 ლარზე. იგი დაინტერესდა, როცა პროექტის ღირებულება 132000

ლარიდან შემცირდა 85 000 ლარამდე, შესრულებული სამუშაოების რა ხარისხზე უნდა იყოს საუბარი.

საკრებულოს წევრმა, **ზაალ სანაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის სკოლების საპირფარეშოებში არის ანტისანიტარია, რაც მოსწავლეებისთვის დიდად საფრთხის შემცველია. მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა ყურადღება უნდა მიაქცია აღნიშნულ პრობლემას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო